

აუდიტორული საქმიანობა და მისი სრულყოფის საკითხები

აუდიტორული საქმიანობა-კონტროლი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის პირობებში კი მოთხოვნა დამოუკიდებელ აუდიტორულ კონტროლზე არ არსებობდა. კონტროლის ფუნქციას სახელმწიფო ორგანოები ახორციელებდნენ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ საკმაოდ შეიზღუდა სახელმწიფო ორგანოების ჩარევა სამეურნეო სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფოსა და მეწარმეთა ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნა კონტროლზე დარჩა და თვისებრივად ახლებური ხასიათი.

აუდიტი წარმოადგენს სპეციალურ ცოდნათა სისტემას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების (მართებულობის) და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის პრინციპების შესახებ; ეს კი მიიღწევა საადრიცხვო, საანგარიშგებო და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტების ფაქტობრივი მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე, რაც განაპირობებს აუდიტორული საქმიანობის, ფორმებისა და რეგულირების აქტუალურობას. აუდიტორული საქმიანობის მისი ფორმირებისა და რეგულირების საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნები აკადემიური წრეების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რასაც ნათლად ადასტურებს აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების თუ პრაქტიკოსი აუდიტორების - რ. ადამსის, ვ. ანდრეევის, რ. მონტგომერის, ა. ჰ. მილიჩემპის, ლ.სოტნიკოვის, აშერემეტის, ა.ნ. რომანოვის, ვ. სუიცის და სხვათა ნაშრომები.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში აუდიტორული მომსახურება და აუდიტორული დასკვნა სამეწარმეო და კომერციული საქმიანობით დაკავებული სამეურნეო სუბიექტებისათვის რენტგენულ-გამომკვლევია აპარატურაა, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სამეურნეო ორგანიზმის (ადამიანის) ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარიანობის დადგენა. აქედან გამომდინარე, დიდია აუდიტორული საქმიანობისა და აუდიტის განმასხორციელებელი სუბიექტების პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს, ასევე აუდიტორული მომსახურებით მოსარგებლე სამეურნეო სუბიექტების წინაშე.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები გარკვეულ დონეზე აუდიტორულ საქმიანობასაც შეეხება, რომლის კვალიფიციური და ხარისხიანი აუდიტორული მომსახურება

საქართველოში
აუდიტორული საქმიანობის
რეგულირების
კანონიერების
და
ეფექტურობის
დაზრდის
კურონომიკური
სუბიექტების
სამეურნეო
პროცესებისა
და
ფინანსური
ოპერაციების
კანონიერების
(მართებულობის)
და
ეკონომიკური
მიზანშეწონილობის
შესწავლის
პრინციპების
შესახებ

ყოველი სამეურნეო სუბიექტისათვის სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის აუცილებელი სავალდებულო ნორმა ხდება სულ უფრო. ამდენად, ქვეყანაში აუდიტის განვითარების მტკიცე საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სრულყოფა ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად, სახელისუფლებო ორგანოებისა და ეკონომიკური მეცნიერების მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წრმოადგენდეს.

ამჟამად, საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს 1995 წლის 7 თებერვალს (№623-III) მიღებული საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“. აღნიშნულ კანონში გადმოცემულია აუდიტორული საქმიანობის ზოგადი პრინციპები (დებულებები), მისი სახელმწიფო რეგულირება და თვითმმართველობა, აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები, ამ საქმიანობაში მონაწილეთა უფლებები და მოვალეობა-ვალდებულებები.

კანონი განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და აწესრიგებს აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი გამოიყენება ყველა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის აუდიტორული შემოწმებისას, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმა, უნდა მოიცავდეს სამეურნეო სუბიექტების აუდიტორული მომსახურებას და მისი განხორციელების ორგანიზაციული – მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, ხოლო აუდიტორული მომსახურება, თავის მხრივ, უნდა გულისხმობდეს აუდიტორულ შემოწმებას და სხვა სახის მომსახურებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება სახელშეკრულებო საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებამოვალეობათა და ვალდებულებათა იურიდიულ სამართლებრივ ასპექტებს. აუდიტორულ საქმიანობაში გამოყენებული ხელშეკრულებები, ისევე როგორც საქმიანობის სხვა სფეროებში მოქმედი ხელშეკრულებები, მისი მონაწილე მხარეების ურთიერთ შეთანხმებული ინტერესების გამომხატველი ოფიციალური, იურიდიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს „კლიენტი-აუდიტორი“-ს („შემკვეთი-შემსრულებელი“-ს) სამართალურთიერთობათა შინაარსს და წარმოადგენს მათ შორის მომსახურება-გადახდითი ურთიერთობის რეგულირების ძირითად საშუალებას.

მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას საჭიროა რაც შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით განისაზღვროს მის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, დადგინდეს ხელშეკრულების გაფორმებისა და შესრულების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, გათვალისწინებულ იქნეს შესაძლო რისკის ფაქტორი. ამიტომ სასურველია და საჭიროა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობდნენ შესაბამისი პროფილის სპეციალისტები, ხოლო ხელშეკრულებას ნახულობდეს და ვიზას აძლევდეს საწარმოს ფირმის იურისტი.

აუდიტორულ საქმიანობაში რისკის ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო კლიენტების შერჩევაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აუდიტორული მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულების დადების წინადადება შემოდის აუდიტორული ფირმისთვის უცნობი ორგანიზაციებიდან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა წინადადებების შემომტანი ორგანიზაციების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვება.

მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს არაორაზროვნად, მკაფიოდ და გამოკვეთილად, ყოველგვარი ფრაზეოლოგიური უზუსტობის

გარეშე, რათა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ურთიერთდავის შემთხვევაში არ გაუჩნდეთ იმის მცდელობის სურვილი, რომ ხელშეკრულების პირობებს მისცენ მათთვის სასარგებლო ინტერპრეტაცია.

აუდიტორულ პრაქტიკაში გამოყენებულია ხელშეკრულების სამი სტანდარტული ფორმა:

1. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის ექსპერტიზის ჩატარების ხელშეკრულება;
2. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების ჩატარების ხელშეკრულება;
3. სააბონენტო მომსახურების ფორმით აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულება.

აუდიტის მეთოდს საფუძვლად უდევს მოვლენათა კორელაციური ურთიერთ განპირობებულობა რაოდენობრივობიდან თვისობრივობაში გადასვლის გზით. აუდიტორულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე შემეცნების თეორიის კატეგორიები და პრინციპები, კერძოდ კი: დაკვირვება; შედარება, ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია. ამრიგად აუდიტის მეთოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სპეციფიკური პრინციპების, ხერხებისა და საშუალებების ორგანულად დაკავშირებული გამოკვლევების ერთობლიობა, რომლებიც სააღრიცხვო ანგარიშგებით და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფენ სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობის, მიზანშეწონილობის და ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლას.

აუდიტორულ გამოკვლევათა მეთოდებისა და ხერხების კომპლექსური სისტემის შემუშავება ეფუძნება მეცნიერების მოწინავე მიღწევებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის და შედეგების შესახებ მონაცემთა დაჯგუფება განსაზღვრული დროისა და სივრცის მიხედვით, მათი რაოდენობრივ თვისობრივი ცვლილებების დადგენა და ამ მაჩვენებელთა რეგულირებისა და უტყუარობის ხარისხის განსაზღვრა.

აუდიტორული საქმიანობის შედეგები თავის განსაზღვრას და ასახვას პოულობს სტანდარტებში, რომლებიც ასახავენ მოქმედების ნორმატივებსა და ნორმებს.

ეროვნული აუდიტორული სტანდარტების დამუშავების დროს უნდა გავეთვალისწინოთ საქართველოს ეკონომიკის თავისებურებანი, რაც არ შეიძლება ტრაფარეტურად გადმოვიტანოთ, მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებიდან. ეროვნული სტანდარტების თავისებურებაზე გავლენა უნდა მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობამ და სავალდებულო სახელმწიფოებრივი ხასიათის ნორმატიულმა დოკუმენტებმა.

აუდიტორულმა ფირმებმა და კორპორაციულმა გაერთიანებებმა თანდათანობით (ეტაპობრივად) უნდა დაიწყოთ გადასვლა (მუშაობა) სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. სწორედ ასეთი გზით იქნება შესაძლებელი ქართული აუდიტი რამდენადმე მიუახლოვდეს საერთაშორისო აუდიტის პარამეტრებს. ეს მოხდება მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკის დონე ადგილობრივი წარმოების განვითარებით მიუახლოვდება საერთაშორისო ეკონომიკის მოთხოვნებს.

საქართველოში სრულყოფილი აუდიტის ჩამოყალიბებასთან ერთად აუდიტის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი თავისთავად შემცირდება, აუდიტორთა საზოგადოებრივი გაერთიანების მხრიდან საზოგადოებრივი რეგულირების როლის შესაბამისი გაძლიერების ხარჯზე.